შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (9.709)

28 ნოემბერი–5 დეკემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წყლის პრობლემა მოიხსნება?!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში, ზემო ქედში, ქვემო ქედსა და გამაჯვებაში წყალმომარაგების გაუმჯობესების პროცესი მიმდინარეობს. პროექტები წყლის დებეტის გაზრდას ემსახურება.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი ზემო ქედში და ქვემო ქედში მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა. ქვემო ქედში 6 კილომეტრიან მაგისტრალზე ახალი მილი იფინება. პროექტი დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

„მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში სამუშაოებს აწარმოებს კომპანია „გაზტექმშენი“. სოფელ ქვემო ქედში 6 კილომეტრიან სადაწნევო მაგისტრალს ვცვლით, ახალი მილები იდება და აღნიშნული სამუშაო 20 დეკემბრამდე დასრულდება. ამის შემდეგ გვექნება სრულიად ახალი მაგისტრალი და წყალშემკრებ აუზს წყალს უდანაკარგოდ მივაწვდით, საიდანაც მოსახლეობაში განაწილდება.

ასევე სოფელ ზემო ქედში იმ რამდენიმე უბნის დაქსელვა მიმდინარეობს, რომელიც დარჩენილი იყო. კომპანია „გაზტექმშენი“ სოფელ გამარჯვებაში განახორციელებს „ხუთმილა“ წყალზე წყალშემკრები აუზის მოწყობას. შემდეგ ტუმბოთი მიეწოდება სოფლის თავში არსებულ რეზერვუარს და გამარჯვებაშიც მოსახლეობას წყლის პრობლემა მოეხსნება.

ჩვენთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამი სოფლის წყლის პრობლემას ვხსნით“ - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მოსახლეობის ერთი ნაწილის აზრით, ქედების ზონაში უწყლოობის ხანის დასრულებას ეჭვის თვალით უყურებენ და ამბობენ, რომ აქამდეც ბევრი ხელისუფლების დაპირება მხოლოდ ლიტონი სიტყვები აღმოჩნდა. მათ მოსაზრებას არ იზიარებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი. გამგებელი დარწმუნებულია, რომ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ მოსახლეობის სკეპტიციზმი წარსულის საკუთრება გახდება, რადგან შედეგი ეჭვს უდაოდ დაამარცხებს.

ბრძოლა გაუდაბნოებასთან მოსწავლეების მონაწილეობით

კლიმატის ცვლილება ადამიანებს ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. გლობალური დათბობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები უკვე აისახა დედოფლისწყაროზე. გაუდაბნოების წინაშე მდგარი მუნიციპალიტეტის შველა მხოლოდ მის გამწვანებაზე ზრუნვას თუ ძალუძს. ტყისა და მწვანე საფარის რესურსის აღდგენა სანერგე მეურნეობების გაშენებასთან ერთად, მომავალი თაობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების პარალელურად, მათი უშუალო თანამონაწილეობით უნდა მოხდეს.

26 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის და ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტის“ ინიციატივით, „პროექტის „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დეგრადირებული ეკოსისტემის აღდგენა მრავალმიზნობრივი სანერგე მეურნეობის მოწყობით და ეკონომიკური მნიშვნელობის პლანტაციის გაშენებით”- ფარგლებში ჩატარდა სანერგის პრეზენტაცია და გამწვანების აქცია,რომელშიც მონაწილეობდნენ ხორნაბუჯის თემის, საჯარო სკოლის და მუნიციპალიტეტის შპს „სერვისი-2007“-ის წარმომადგენლები. სანერგეში გამოყვანილი ერთწლიანი კაკლის და ნუშის ნერგები გადაეცათ ხორნაბუჯის სოციალურად დაუცველ ოჯახებს და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც შპს „სერვისი-2007“-ის თანამშრომლებთან ერთად , იშრომეს სანერგეში, ამოიღეს კაკლის და ნუშის ნერგები და სკოლის ეზოში, წინასწარ გამზადებულ ორმოებში გადარგეს. ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ: ანა შუბითიძე- პროექტის ეროვნული კოორდინატორი გარემოს გლობალური დაცვის (GEF) ფონდიდან და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო-რესურს-ცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი. აქციის მონაწილეებს გადაეცათ თემატური სახელმძღვანელოები და პლაკატები. გაიჭრა სპეციალური ტორტი „ჩვენი მწვანე მომავალი”.

ანა ბენაშვილი: „განვახორციელეთ საპილოტე პროექტი „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დეგრადირებული ეკოსისტემის აღდგენა მრავალმიზნობრივი სანერგე მეურნეობის მონყობისა და სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენებით“. პროექტი დაფინანსდა ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის მიერ. მისი განხორციელება დაიწყო 2014 წლის 1 სექტემბრიდან. პროექტის მიზანია ნერგების წარმოება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანების და ეკოსისტემის აღდგენის მიზნით.ძალიან კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა და ის ყველაზე მეტად შეეხო კახეთისა და აჭარის რეგიონს და კახეთში ყველაზე მეტად-დედოფლისწყაროს. და რადგან ჩვენ ნახევრადუდაბნოს ზონაში ვართ, უფრო მეტი საზრუნავი გვაქვს გამწვანების კუთხით. ვიცით, რომ სადაც ხეები და გამწვანებაა, იქ წყლის რესურსიც არსებობს. ამ ყველაფერთან ერთად ნაყოფისმომცემი მცენარეები ეკონომიკური თვალსაზრისითაც მომგებიანია მოსახლეობისთვის. ეს არის ჩვენი ქვეყნის სტრატეგია, რომ დავრგოთ მწვანე ნარგავები, გავაშენოთ ტყეები, ქარსაცავებიეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა. კიოტოს ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირმა აიღო ვალდებულება, რომ შეამციროს ემისიები, ანუ, გამონაბოლქვი გაზები, რამაც გამოიწვია და ხელი შეუწყო გლობალური დათბობის მასშტაბების გაზრდას, სწორედ ამ მიზნით აფინანსებს ევროკავშირი ამ მიმართულების სხვადასხვა პროგრამებს და ერთ-ერთი ამ გრანტის მიმღები ვართ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“, რომელმაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და გამგეობასთან ერთად ამ პროექტის წარმატებით განხორციელება“.

ანი შუბითიძე: „ძალიან დიდი მადლობა ყველას ამ პროექტში თქვენი თანამონაწილეობისთვის. თავისი სპეციფიკა აქვს მცირე გრანტების პროგრამას, იმიტომ რომ, ეს არ არის მარტო გრანტები-გრანტებისთვის. ყველა პროექტი ისეა შემუშავებული, რომ უნდა იყოს მთელი თემი ჩართული, სხვა მხრივ ის პროექტი არ იქნება წარმატებული. მე ყველა პროექტი მტკივა ხოლმე საკუთარი ბავშვივით და ისე მიხარია, როცა მოვდივარ და ვნახულობ გახარებულ ხეებს, და მტკივა ნებისმიერი პროექტის წარუმატებლობაც. ახლა ვხედავ, რომ თითქმის ასპროცენტიანი გახარებაა ნერგების და ეჭვი არ მეპარება, რომ იმ სკოლაში, სადაც ნერგები თქვენი მონაწილეობით დაირგვება, ისინი იქნება მოვლილი და გახარებული... მინდა გითხრათ, რომ ამით არ მთავრდება თანამშრომლობა „ახალ ჰორიზონტთან“ და ის მომავალშიც გაგრძელდება“.

ინგა შიოლაშვილი

უკანონო ნადირობა ალმოფხვრეს

გვ.2

მოძრაობა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ

გვ.5

2016 წლის იანვრიდან პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება

გვ.2

საანგარიშო შეხვედრა კულტურის ცენტრში

გვ.6

C M Y K

2016 წლის ივლისიდან პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება

2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები 180 ლარი გახდება, - ამის შესახებ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ბიუჯეტი იქნებოდა სოციალურად ორიენტირებული და მომავალი წლის ბიუჯეტიც ასეთი იქნება.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასებისთვის, ასევე მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე და სხვა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, "გუნდმა გადაწყვეტა, რომ 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი".

"2012 წლიდან ჩვენ პენსიები გავზარდეთ დაახლოებით 64%-ით. ეს არის 600 მილიონ ლარამდე, თუ შევადარებთ 2012 წლის ბიუჯეტს ამ მიმართულებით", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა და ეტაპობრივად გადავიდეთ ახალ სისტემაზე.

იოჰანეს ჰანმა საქართველოში გატარებულ რეფორმებს შთამბეჭდავი უწოდა

ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ ნიშნებს ვიზის ლიბერალიზაციის პროცესის ანგარიშის მიმართულებით და დარწმუნებული ვარ, პასუხი დადებითი იქნება , - ამის შესახებ ევროკომისარმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებათა საკითხებში იოჰანეს ჰანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა.

ერთობლივ ბრიფინგზე ევროკომისარმა საქართველოში გატარებულ რეფორმებს შთამბეჭდავი უწოდა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რათა შესაბამისი ვალდებულებები შეესრულებინა.

"საბოლოო გადაწყვეტილების სრული პროგნოზირება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ ნიშნებს დადებითი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, რომ დადებითი იქნება პასუხი აღნიშნულ საკითხზე", - აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

2016 წელს საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა გაგრძელდება

2016 წელს საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა გაგრძელდება, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტზე საუბრისას განაცხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, დღეის მდგომარეობით აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებულია 139 საწარმო. საწარმოებთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ წარადგინა. მისი თქმით, 139 ახალი საწარმოა, ხოლო ამის გარდა 600-ზე მეტია დაფინანსებული გადაიარაღებისა და ტექნიკური გაუმჯობესების კუთხით, მათ შორის სტანდარტების ამაღლების კუთხით.

"ჩვენ გვაქვს დაახლოებით 20 საწარმოს განაცხადი, რომელიც ახალ დაფინანსებას ელოდება და 3 არის მონიტორინგზე, ანუ წლის ბოლომდე კიდევ შესაძლებელია ეს ციფრი შეიცვალოს", - განაცხადა ოთარ დანელიამ.

რაც შეეხება ინდუსტრიულ მიმართულებას, პრემიერ-მინისტრის თქმით, ამ მიმართულებით 123 ქარხანა, ახალი საწარმოა დაფინანსებული. მისივე თქმით, ეს არის ჯამში 350 მილიონი ლარის ინვესტიცია. როგორც პრემიერმა განაცხადა, ხელისუფლებას ჰქონდა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამწლიანი პროგრამა, თუმცა გადაწყვეტილია, რომ ის მეოთხე წელსაც გაგრძელდეს.

"ეს პროგრამა 2016 წელსაც გაგრძელდება და ჩვენ უფასოდ ჩავატარებთ საგაზაფხულო სამუშაოებს მოსახლეობისთვის, ასევე გავაგრძელებთ მეწარმეების დახმარებას. როგორც უკვე აღინიშნა, აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში, ასევე გაგრძელდება აგროდაზღვევის პროგრამაც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის და პროგრამა "დანერგე მომავალი", რომელიც წარმატებით ვითარდება და მიმდინარეობს", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მთავრობის წინა სხდომაზე 8 000 ბენეფიციარს 26 მილიონი ლარის მიწის გადასახადი, დავალიანება ჩამოეწერა.

ინტერნეტიზაცია დედოფლისწყაროშიც დაიწყება

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ინტერნეტიზაციის პროექტი დედოფლისწყაროშიც დაიწყება. ქალაქი დედოფლისწყარო და მისი რამდენიმე სოფელი პირველივე ფაზის სიაში მოხვდა.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, პროექტი განხორციელდება ქალაქ დედოფლისწყაროში, და სოლებში სამრეკლოში, გამარჯვებასა და ხორნაბუჯში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება დაიწყო.

პროექტი, რომლის ღირებულება 150 მილიონი დოლარია, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოს ყველა რეგიონისა და სოფლების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაფარვა.

პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს 10 რეგიონის - 500-მდე სოფლისთვის. პირველი ფაზის დასრულების შემდეგ ინტერნეტით ისარგებლებს კახეთის 20-ზე მეტი სოფელი, მათ შორის ქალაქი დედოფლისწყარო და სამი სოფელი.

საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში ინტერნეტი საქართველოს 2000 სოფელში შევა და მთლიანობაში ხელმისაწვდომი მოსახლეობის 91%-სთვის გახდება.

პრობაციონერი დაასაქმეს

პრობაციის ეროვნული სააგენტოს დახმარებით დედოფლისწყაროსა და თერჯოლაში პრობაციონერები დასაქმდნენ.

პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, მსჯავრდებული ს. ბ., საპრობაციო ვადის მოსახდელად, კახეთის პრობაციის ბიუროში დადგა აღრიცხვაზე. რისკებისა და საჭიროებების შესწავლისას, ს. ბ-ს დასაქმების საჭიროება გამოუვლინდა. კახეთის პრობაციის ბიუროს რეკომენდაციით, პირობით მსჯავრდებული დაასაქმა სამშენებლო კომპანია „კავკაზ-ტრანსმა“, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, 2015 წელს უკვე 111, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე —381 პრობაციონერი დასაქმდა.

სპორტული წარმატება

22 ნოემბერს ქ. თბილისში გაიმართა თბილისის მე-5 ღია ჩემპიონატი უშუში, შეჯიბრებზე დედოფლისწყაროს უშუს კლუბიდან ექვსი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. როგორც კახეთის უშუს ფედერაციაში ამბობენ, ყველა მათგანმა წარმატებას მიაღწია. საბოლოო შედეგები ასე გადანაწილდა, დედოფლისწყაროელებს 3 პირველი და სამიც მეორე ადგილი ხვდათ წილად.

ჩემპიონები გახდნენ: ლევან წიკლაური, ნიკა ჩიტიშვილი და აჩიკო ელყიაშვილი. ხოლო მეორე ადგილები წილად ხვდათ: ნიკა გლახოშვილს, ბექა გონაშვილს და გიორგი კეკიშვილს.

„აღსანიშნავი იყო ლევან წიკლაურის გამოსვლა, რომელიც უკვე 5 თვეა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხება და ვარჯიშს საერთოდ ვერ ახერხებდა. ფედერაციიდან მიმართვის შემდეგ ლევანი შეჯიბრისთვის დროებით დაითხოვეს. დიდი პაუზის შემდეგ მან მხოლოდ ორი ვარჯიშის ჩატარება შეძლო, მაგრამ შედეგმა მაინც არ დააყოვნა, ორი საკმაოდ რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა. პირველ ბრძოლაში ლევანიმ ცხვირის და ფეხის საკმაოდ ცუდი ტრავმები მიიღო და მეორე ბრძოლაში მთელი სიფრთხილით უწევდა ბრძოლა, რათა ტრამვებს თავი არ შეეხსენებინა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად საბოლოო ჯამში ლევანიმ დამაჯერებლად იმარჯვა და ასახელა საკუთარი რაიონი, ასევე სამხედრო ნაწილი. ხოლო რაც შეეხება ნიკა ჩიტიშვილს, მას პირველი ბრძოლა მოუწია ქუთაისელ, მასზე ასაკით უფროს, წონით 8 კგ ით მეტ სპორტსმენთან. მაგრამ ნიკამ თავისი ოსტატობის წყალობით შეძლო გამარჯვება მოეპოვებინა. ხოლო ფინალურ ბრძოლაში კი რუსთაველი მეტოქე პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით ტექნიკური ნოკდაუნით დაამარცხა. ეს ნიკასგან გასაკვირი არ იყო, რადგან ის უკვე სამი წელია დაუმარცხებელი სპორტსმენია. რაც შეეხება მესამე ჩემპიონს, აჩიკო ელყიაშვილს, ის დიდი თაობის შედეგების ღირსეული გამგრძელებელია. მასაც ნიკას და ლევანის მსგავსად ორი ბრძოლა მოუწია და ორივე მეტოქე საკმაოდ ადვილად დაამარცხა. დიდი მადლობა ყველას ვინც გვგულშემატკივრობდა და ჩვენი ბედი აღელვებდა და მცირედით მაინც ცდილობდა გვერდში დაგვდგომოდა. შეჯიბრებაზე ჩვენი ხარჯებით ვიმყოფებოდით," - განუცხადა „შირაქს“ მწვრთნელმა გიორგი ციხკარაულმა.

დედოფლისწყაროს უშუ-ს კლუბი შესაბამისი სავარჯიშო პირობების არარსებობის ფონზე მუდმივად ახერხებს წარმატებების მიღწევას და შთამბეჭდავი შედეგების დადებას. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ მათ ხშირად ღია ცის ქვეშ უწევთ ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად მომზადება. კლუბს კი შესაბამისი სპორტული ინვენტარი და დარბაზი არ გააჩნია.

კლუბი ამ დრომდე არ ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტის ცენტრისთვის გათვალისწინებული თანხით, როს გამოც სპორტსმენებს პირობების უზრუნველყოფა საკუთარი ხარჯებით უწევთ. ხშირად ისინი სხვადასხვა ქალაქებში გამგზავრებას უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ, მგზავრობის დაფინანსება ძირითადად სპორტსმენების მშობლებს უწევთ. თუმცა. გიორგი ციხკარაული ამბობს, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა დედოფლისწყაროს სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრი მათ კლუბს მგზავრობის უზრუნველყოფაში დახმარებია.

ილია მარტყოფლიშვილი

უკანონო ნადირობა დედოფლისწყაროში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.

სამართადამრღვევს მოკლული ჰყავდა 3 ცალი კაკაბი. მას ჩამოერთვა სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი.

შედგა ადმინისტრაციული სამართალდარვევის ოქმი.

მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება შესაბამის რაიონულ სასამართლოს.

კაკაბი წარმოადგენს ნადირობას მიუკუთვნებელ სახეობას და მასზე ნადირობა კანონით აკრძალულია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქალაქი დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.121	1525 კვ.მ.	4575	10%	5%	100
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი საბათლო	შენობა-ნაგებობა სოფლის ცენტრში	52.14.32.035	195 კვ.მ. (შენობაზე მიმაგრებული მიწის ფართობი)	750	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

საჯარო აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე,

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის I სართული, სხდომათა დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222, კოდი-300533390 (არასასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთი), კოდი - 300533325(შენობა-ნაგებობების გაყიდვა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

საააუქციონო კომისია

„სიყვარულს ხომ დიდი ძალა აქვს...“

„ადამიანის ხსნა სიყვარულშია“
ალ. გრიბოედოვი

მრავალი საინტერესო ღონისძიების ავტორია დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმი. შემოდგომის ამ თბილ დღეებში კი მუზეუმის თანამშრომლებმა, სოფელ ხორნაბუჯის ბიბლიოთეკასთან ერთად, კიდევ ერთი თბილი და ფაქიზი გრძნობით სავსე ღონისძიება გამართეს ხორნაბუჯის ადმინისტრაციული ცენტრის საატო დარბაზში, რომელიც თანამედროვე, მაღალ დონეზე არის გარემონტებული და ყველა პირობაა შექმნილი მუშაობისათვის. ღონისძიების თემა გახლდათ „ჭავჭავაძეების სიყვარულის ისტორიები“.

ორგანიზატორებთან ერთად ჭავჭავაძეების სიყვარულის ლამაზ ისტორიებს უყვებოდნენ დამსწრეთ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები. სასიამოვნო მოსასმენი იყო სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისაგან გამართული ქართულითა

და გრძნობით წაკითხული სასიყვარულო ბარათები თუ ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე ლექსები.

ღონიძიება გახსნა და ქართული რომანტიზმის შესახებ ფართოდ ისაუბრა ბიბლიოთეკარმა მარინა ზურაშვილმა. მან მიმოიხილა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება და ხაზი გაუსვა მათ სასიყვარულო ისტორიებს: - „რომანტიზმი მე-18 მე-19 საუკუნის მიჯნაზე წარმოიშვა გერმანულ ლიტერატურაში. სულ მალე იგი გავრცელდა ევროპასა და სხვა ქვეყნებში და ხელოვნების ყველა დარგი მოიცვა, როგორც საერთო ევროპულმა მოვლენამ. ქართული რომანტიზმი ევროპული და რუსული რომანტიზმის პარალელურად მიმდინარეობდა. მისი მიმდევრები იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვანი.

ქართული რომანტიზმის ფუძემდებელია ალექანდრე ჭავჭავაძე.

რომანტიკული პოეზია თვალში საცემი სიახლე იყო ქართულ მწერლობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალი და რომანტიკული პოეტური აზროვნების სრულყოფილი გამოხატულებაა. როგორც მოაზროვნემ, ბარათაშვილმა გეზი მისცა მე-19 საუკუნის ლიტერატურის განვითარებას საქართველოში. მისი მსოფლმხედველობის რკალი მეტად ფართოა, ხოლო მიზეზთა მიზეზი- მისი სულიერი ტკივილის, ეროვნულ სინამდვილესთან და უიმედო სიყვარულთან არის დაკავშირებული.- სიყვარულის თემა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მდიდრად არის წარმოდგენილი. სიყვარული მათ მეტად მძლავრ და მძაფრ გრძნობად მიაჩნდათ, ყველაფრის მომცველად და მბრძანებლად. სიყვარულის ძალა შეუზღუდველია, მას ყველაფერი შეუძლია, იგი ადამიანს ამქვეყნიურ ამაოებას დაავიწყებს. დროის სწრაფლწარმავლობას გაუქარწყლებს.- რომანტიზმისათვის სიყვარულის ორი მხარე არსებობს: სილამაზე და მშვენიერება:-სილამაზე მუდმივი არ არის, მაშასადამე მასთან დაკავშირებული სიყვარულიც არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. სამაგიეროდ, მშვენიერებაა მუდმივი, რადგან იგი დაკავშირებულია ადამიანის სულიერ არსებობასთან. სული კი უკვდავია. ამიტომ სულთან შემსჭვალული სიყვარული არ კვდება. იგი მუდმივად არსებობს. სულიერი სიყვარულის გზა მიდის უსაზღვროებისაკენ, თავისუფლებისაკენ, და სწორედ ამიტომ სასურველია, წმინდა სულთა სიყვარულიანი კავშირი. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეს“, მას ვერარა დააბერებს, ვერარა დათრგუნავს, იგი მუდმივი არსებობისთვისაა განკუთვნილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველაზე დიდი გატაცება, რომელმაც ღრმად დაამჩნია კვალი მის გულსა და ცხოვრებას, იყო მეცრამეტე საუკუნის ერთ - ერთი ულამაზესი ქალბატონი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ეკატერინე ჭავჭავაძე, ბარათაშვილს უყვარდა იგი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მის პოეზიაზე. პოეტმა მას უძღვნა არაერთი ლექსი, - 1839 წლიდან იწყება ნიკოლოზისა და ეკატერინეს სატრფიალო ისტორია. ამ დროს ბარათაშვილს ეკატერინე ჭავჭავაძე მთელი არსებით უყვარდა და არც ქალი იყო უსიმპატიოდ განწყობილი მოწინავე ინტელიგენტისა და პოეტის მიმართ. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრი მეტოქე და მოწინააღმდეგე ჰყავდა.

ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე ქედს იხრიდნენ ქართველი და უცხოელი ბრწყინვალე მდგომარეობისა და მომავლის მქონე ყმაწვილკაცები. ტატო, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს შინაურები ეძახდნენ, ეკატერინეზე ორი წლით უმცროსი იყო. იგი უზომოდ მოხიბლული იყო ეშხიანი და სხივოსანი ქალიშვილით, ბავშვური მიამიტობით უყვარდა ეკატერინე და ვერ გაებედა თავისი გულის ნადები გაემხილა ჭავჭავაძის ასულისათვის. ყოველდღე ხვდებოდა საოცნებო ქალიშვილს, საიდუმლოდ უკითხავდა ახალ ლექსებს, გამჭრიახ ქალიშვილს ვაჟის გაუმხელელი სიყვარული არ გამოპარვია, მაგრამ ყურადღების ღირსად მაინც არ ჩათვალა უზომოდ და უნუგეშოდ შეყვარებული. ეკ. ჭავჭავაძემ თავისებური დაღი დაამჩნია ბარათაშვილის პოეტურ სტრიქონებს. ჩანს, იგი პოეტის სულიერი სამყაროს სიღრმეში შეიჭრა და სიხარულის და მწუხარების ბევრი ცრემლი აღვრევინა.

თუმცა ზეპირი გადმოცემით, ეკატერინეს ცოლქმრობის პირობა ჰქონდა მიცემული ტატოსთვის, მაგრამ იგი ცოლად გაჰყვა მდგომარეობით და პრივილეგიებით მაღლა მდგომ, სამეგრელოს თავად დავით დადიანს. ყოველმხრივ ბედისაგან განანამებ პოეტს, სიყვარულმაც არ გაუმართლა, დარჩა მწირი და მიუსაფარი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა და პირადი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ პოეტს საზრუნავი არ დაჰკლებია. იგი არც თავისი ბედით იყო კმაყოფილი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში პატარა მოხეელედ მუშაობდა და გაღარიბებული ოჯახი სულს ძლივს ითქვავდა. ამას დაემატა პოლიტიკური ამბები, მარტოობა, სატრფოს დაკარგვა. იგი მზად არის მოშორდეს ყველაფერს-

სწორებს და მეგობრებს, მშობლებს, ტკბილმოუბარ სატრფოს, წინაპართა საფლავებს, სატრფოსგან დაღვრილ ცრემლს, ოღონდ არ ემონოს ბედს, რომელსაც მისთვის სიკეთე არ მოუტანია.

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას“, რადგან ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება მკვდარსა ემსგავსოს! იგი არასოდეს არ კარგავდა იმედს და არ ეძლეოდა სასონარკვეთილებას.

მეტად ახალგაზრდა გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი, 27 წლის ასაკში, უცხო მიწაზე – განჯაში. რომ არა ილია ჭავჭავაძე და ბედნიერი შემთხვევითობა, მისი პოეზია სრულიად უცხო იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილის, საარაკო სილამაზის მქონე ნინო ჭავჭავაძის და რუსი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გრიბოედოვის ტრაგიკულ სიყვარულზე მოუთხრო დამსწრეთ მუზეუმის სპეციალისტმა ნანა ზურაშვილმა: ჭავჭავაძეების სალონურ საღამოებზე არაერთი ახალი ნაწარმოები წაუკითხავთ თავად მასპინძელებს თუ საპატიო სტუმრებს: გრ. ორბელიანს, ალ. პუშკინს, მიხ. ლერმონტოვს, ალ. დიუმას და სხვებს.

ნინო ჭავჭავაძის სილამაზე, ნიჭიერება, კდემამოსილება აბრწყინებდა იქაურობას. მისი სიყვარული ბევრს სურდა, მას უძღვნიდნენ ლექსებს.. 14 წლის იყო ნინო, როდესაც გაიცნო ალექსანდრე გრიბოედოვი. დიდ პოეტს და არა ნაკლებ დიდ დიპლომატს გულში ჩაუვარდა ნორჩი „მერილიოს მადონა“, როგორც უწოდებდა მისთვის მიწერილ წერილში გრიბოედოვი. „ნინო! ჩემო არჩვო, მადონავ! მე ახლა პეტერბურგის ციხეში ვზივარ და შენზე ვფიქრობ. ჩემი სული შენსკენ ისწრაფვის, ვითარც ზღვის ტალღა ნაპირისკენ, ვითარც დაჭრილი არწივი წყაროსკენ... შენა ხარ ჩემი შვების ნაპირი. შენა ხარ ჩემი სიყვარულის უკვდავი წყარო... მე თავისუფლება წამართვეს,მაგრამ შენი სიყვარული ვერა...

სიყვარული არის მუსიკა! მაგრამ რა არის შენთან ფილდის მუსიკა, რა არის შენთან მუსიკა ბახის... შენ ყოველივე ამაზე უფრო ნატიფი და მშვენიერი ხარ ჩემთვის... და ამიტომ გეტრფი. აი, შენ ნახავ, მე დავწერ

(გაგრძელება გვ.8)

კულტურის ცენტრის კორპორაციული საღამო და საანგარიშო შეხვედრა

23 ნოემბერს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დაამთხვია საანგარიშო კორპორაციული საღამოს გამართვა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ამ სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი ნონა ჯიბღაშვილი. საღამო კაფე რესტორან „ალიონში“ შედგა, სადაც მუშა პროცესი ფურშეტის თანხლებით გაიმართა. მასში კულტურის სამსახურების ყველა თანამშრომელი იყო ჩართული. აქ იყვნენ სოფლების კულტურის სახლთან არსებული კოლექტივები, სოფლებისა და რაიონის ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

ღონისძიება ძალიან საინტერესოდ წარიმართა, მას უძღვებოდა თავად ქალბატონი ნონა, რომელმაც მისი მოსვლის დღიდან დღემდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დიდ ეკრანზე სლაიდების თანხლებით გადმოგვცა ის, რაც მას

და მის სამსახურს მისი დირექტორობის ერთი წლისა და სამი თვის მანძილზე განუხორციელებია. მთლიანობაში ეს გახლდათ, არათუ გეგმიური 12 ღონისძიება, არამედ ჩატარებული 72 ღონისძიება.

-„ჩემმა საქმისადმი პასუხისმგებლიანმა დამოკიდებულებამ განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება, რომ ყველა თანამშრომელთან ერთად მომეხდინა განვლილი დროის საქმიანობის შეჯამება. ამით ერთგვარად იმ ადამიანების წინაშე მინდოდა ჩემი და ჩემი თანამშრომლებით წარვმდგარიყავ, ვინც მე ეს პასუხისმგებლობა დამაკისრა. სამსახურში მისვლის პირველივე საგაზეთო ინტერვიუში მე დავპირდი ჩემს ქალაქს, რომ კულტურის ცენტრი არცერთ თვეს არ გამოტოვებდა ღონისძიების გარეშე და დღეს არათუ თორმეტი ღონისძიება გვაქვს სახეზე, არამედ სამოცდათორმეტ ღონისძიებაზე მეტი გვაქვს უკვე ჩატარებული. ფოტოკოლაჟში ეს ყველაფერი ნათლად ჩანს. ჩემს მიერ გამოთქმულმა მადლიერებამ ყველა თანამშრომლის მიმართ, თითოეულ მათგანში საოცარი დადებითი მუხტი შეიტანა. მთლიანობაში საღამო არაჩვეულებრივი პოზიტიური განწყობით, ერთმანეთისადმი სიყვარულისა და მოფერების გარემოცვაში შედგა. აქ აშკარად იგრძნობოდა კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრების ერთიანობა. არცერთი თანამშრომელი არ გამომიტოვებია კულტურის სფეროდან, ამ საღამოზე ყველა მათგანი იყო მოწვეული, თვით დარაჯები და დამლაგებლებიც კი, რადგან ვთვლი, რომ სამსახური იწყება უბრალო ადამიანებიდან, სწორედ დარაჯებიდან

და დამლაგებლებიდან და არა უფროსიდან. ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გადაჭრილი პრობლემების შესახებ, რომლებიც ამ წელში კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრისთვის რაიონის მუნიციპალიტეტმა გააკეთა. მადლობა მინდა გადავუხადო სიმღერისა და გალობის სკოლას, ანსამბლებს, მხატვრულ კოლექტივებს, ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, რომლებიც მუდმივად თანამონაწილეობენ ჩვენს მიერ გამართულ ღონისძიებებში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დიდი დღესასწაულები, 26 მაისის დედოფლისწყაროობა, ფიროსმანობა, ელიაობა, საშობაო ცერემონიალები და საახალწლო დღესასწაულები. ძალიან კარგად მახსენდება ღონისძიება „ამაგდარის” ჩატარება ყველა სოფელში და რაიონულ ცენტრში. მახსენდება საადღგომო ღონისძიება ჩემი „არლეკინოს” (ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი) ბავშვებთან და დედაოებთან შეხვედრით, იების საღამო წითელი ხალიჩით, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მამა პანტელეიმონს, რომლის თაოსნობით ამ წელს შეიქმნა ანსამბლი „აისელები”, -აღნიშნა ჩვენთან საუბარში კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნონა ჯიბღაშვილმა.

საანგარიშო კორპორაციულ საღამოზე ამ წლის განხორციელებულ პროექტებთან სამომავლო გეგმების ნაწილიც გაჟღერდა. 2015 წელს რაიონის ისტორიაში პირველად, მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ, გაკეთდა თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, დამონტაჟდა გათბობა და ორგანიზაცია აღიჭურვა ავეჯით. ასევე, სიახლეა, რომ რაიონული ბიბლიოთეკა სრულად იქნება კომპიუტერულ ბაზაზე მომუშავე, რისთვისაც კულტურის სამსახური ახდენს თანამშრომლების გადამზადებას და კომპიუტერულ სწავლებას გადის თითოეული თანამშრომელი. სიახლეა ისიც, რომ სპეციალური პროგრამით წიგნების დარიგება მოხდა ყველა ტერიტორიული ორგანოს ბიბლიოთეკაში, მოხდა სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია და ამ სამსახურების ინტერნეტმომარაგება. ამ წელსვე განხორციელდა მუზეუმის გაზიფიცირება და განათების რეაბილიტაცია, კინოს ფუნქციონირება. წელს საფუძველი ჩაეყარა ახალი ანსამბლის „აისელების” შექმნას, ასევე მოხდა ამ ანსამბლის ინსტრუმენტით უზრუნველყოფა, ანსამბლ „ხორნაბუჯის“ შემოსვა(ჩოხა, ქამარი, ჩექმა, ხანჯალი, ლეკვერთხი, მასრა) , წელსვე მოხდა ქუჩის სცენის შეძენა, რომელსაც წლების განმავლობაში ქირაობდნენ და საკმაო თანხა იხარჯებოდა ამაში. განხორციელდა ასევე საოპერატოროს ამოშენება (კინო- განათება და გახმოვანების დარბაზის მაყურებლიდან მათი იზოლირება). მოხდა კულტურის სახლის დარბაზის გათბობა, კონდიცირება, პროფესიონალური ფოტოაპარატის შეძენა. დაგეგმილია მიკროავტობუსის შეძენა კულტურის სახლისთვის.

ქალბატონი ნონას მიერ წარმოდგენილი გეგმიური ნაწილის შემდეგ, საღამოს წაყვანა განუმეორებელმა ქალბატონმა, კულტურის ღვაწლმოსილმა მუშაკმა ცარო მარტიაშვილმა იტვირთა, რომლის გარეშეც ჩვენი კულტურის სამსახურის წარმოდგენა შეუძლებელია. ანგარიშის წარდგენის შემდეგ საღამომ მხიარულ გარემოში ჩაიარა, იყო პაექრობა, ოხუნჯობა და იუმორიც, რომელიც თანამშრომლებმა ერთმანეთს სიურპრიზად მოუწყეს და შარჟის სახით წარმოადგინეს. მაგალითად, კულტურის მუშაკს გია ყაჭაშვილს მოუმზადებია ისეთი ვიდეო თავისი ფოტოკოლაჟით და ზედნადები მუსიკით, რომ ეს ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა და იქ მყოფნი მხიარულ ხასიათზე დაგვაყენა. აქ იყვნენ ქვემო ქედის, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ზემო მაჩხაანის, მირზაანის, არბოშიკის, გამარჯვების, ხორნაბუჯის, სამრეკლოს კულტურის და ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებიც ცალ-ცალკე სუფრებით იყვნენ წარმოდგენილი. მათ შორის გაიმართა პაექრობა ლექსის, სადღეგრძელოს წარმოთქმაში, სიმღერასა თუ ცეკვაში. სუფრის ყველა წევრი

აქტიურობდა და ერთმანეთს ხელსაც უმართავდნენ, ხმას აშველებდნენ ანდა ცეკვებში ერთმანეთს იწვევდნენ.

ღონისძიებას ჰყავდა თავისი ჟიური, საპატიო სტუმრების სახით, რომელსაც მეექვსე მაგიდა წარმოადგენდა, ესენი გახლდნენ გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ქალბატონი თამარ თამაზაშვილი, მოადგილე და ღვაწლმოსილი პედაგოგი, ისტორიკოსი ნანული ნატროშვილი და სპეციალისტები ია ბუნტური და კულტურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი დოდო ლომიძე.

არ შემიძლია გამოვტოვო საღამოს მნიშვნელოვანი სტუმრები, რაიონის ბიბლიოთეკის ულამაზესი და უნიჭიერესი ქალბატონები, ანსამბლ „ხორნაბუჯის” მამაკაცები, რომლებსაც რაიონის უკვე ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკები ჰქვიათ, აქ იყო ცეკვის დიდოსტატი და ბერმუხა ბატონი ლევან ხუნაშვილი თავისი განუმეორებელი გარმონით და მშვენიერი ბანით, აქ გახლდათ „ხორნაბუჯის” ერთ-ერთი წამყვანი ხმა ვასიკო მაჭარაშვილი, კომპოზიტორი და ხალხური სიმღერის დიდოსტატი, თავის საქმის კარგი ოსტატი ირაკლი კიკილაშვილი, სამრეკლოელი ქალთა გუნდი ახლდა გაიოზ ხუციშვილს, რომელმაც ჩვეული ოსტატობით წაიკითხა ლექსი „დედაენაზე“ და დედაენის სადღეგრძელო დალია. აქვე გახლდათ ზემო ქედელი განუმეორებელი ლოტბარი და ხალხური სიმღერის დიდოსტატი, ხალხური მთქმელი, უბერებელი ქალბატონი მაყვალა წიკლაური. ეს ადამიანები ცეკვავდნენ, ერთმანეთს ხმას უწყობდნენ, ეშაირებოდნენ და საქართველოს სიყვარულში ერთურთს ეჯიბრებოდნენ.

მთლიანობაში, საღამო გახლდათ კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი რაიონის ისტორიაში, რომელიც კულტურის სამსახურმა გვაჩუქა.

ლალი მეხრიშვილი

„ნუ გაათხოვებ !“-მოძრაობა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ

„ნუ გაათხოვებ! მიეცით გოგონებს ის, რაც ეკუთვნით: საკუთარი ცხოვრება, არჩევანი, სწავლა, დამოუკიდებლობა“ ამ ლოზუნგით ქალთა უფლებების დაცვის აქციები უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს.

25 ნოემბერს საქართველოს 14 ქალაქში სხვადასხვა დროს დაიწყო აქციები ნაადრევი ქორწინების გასაპროტესტებლად. მოძრაობა, სახელწოდებით „ნუ გაათხოვებ!“ საქართველოდან ეხმიანება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ 16-დღიან ციკლს, რომელიც 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე გრძელდება. საქართველოში წელს ყურადღება ნაადრევ ქორწინებაზე გამახვილდა, რადგან ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ დღეს სწორედ ესაა ქვეყნის მთავარი პრობლემა გენდერული ჩაგვრის კუთხით.

თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, ახალციხეში, ახალქალაქში, გარდაბანში, ზუგდიდში, თელავში, მარნეულში, ოზურგეთში, ქობულეთში, დუისსა და ბორჯომში 25 ნოემბერს მოქალაქეები ნაადრევ ქორწინებას გააპროტესტებენ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2014 წელს 31 ათასზე მეტი ადამიანი დაქორწინდა, აქედან კი 4 ათასამდე, ანუ 13 პროცენტი, არასრულწლოვანი გოგონაა. აქციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ ეს პრობლემა ერთნაირად მწვავეა როგორც ქალაქში, ასევე რეგიონებში, თუმცა საქმე კიდევ უფრო რთულდება ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. სწორედ ამაზე ლაპარაკობს თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი ლიკა იმერლიშვილი:

„კახეთში – პანკისის ხეობაში, ასევე, თელავთან ახლოს, ყარაჯალაში, რომელშიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს, ხშირად ძალადობენ არასრულწლოვან გოგონებზე მათი გათხოვების მიზნით. რამდენიმე შემთხვევაც იყო, როდესაც ამის გამო გოგონებმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე“.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე 1999 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ დააფუძნა. ამ დღის აღნიშვნის მიზანი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა. ამ საკითხს გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც. ომბუდსმენის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ, სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით გადადგმული არაერთი ნაბიჯის მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა ქვეყანაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემაა:

„ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საუბრისას, არ შემიძლია არ აღვნიშნო გოგონათა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ადრეულ ასაკში ქორწინება. ძალიან მაღალია ადრეული ქორწინების შემთხვევები, რაც, სამწუხაროდ, სტატისტიკის გარეთ დარჩენილი ციფრებია. 2015 წლის პირველ ნახევარში 16-დან 18 წლამდე პირთა (როდესაც ერთი პირი მაინც იყო არასრულწლოვანი) 265 ქორწინება დარეგისტრირდა, თუმცა გაცილებით მაღალია ადრეულ ასაკში არაფორმალური ქორწინებები. ამაზე მეტყველებს იმ გოგონათა რიცხვი, რომლებიც შვილის გაჩენის მომენტში არასრულწლოვნები იყვნენ. 2014 წელს ასეთი 1527 არასრულწლოვანი დედა დარეგისტრირდა“.

არასრულწლოვანთა ქორწინების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ორგანიზატორები აღნიშნავენ იმასაც, რომ ხშირად მშობლები შვილებს ფინანსური სარგებლის გამო აქორწინებენ - მათ, ფაქტობრივად, ფულში ან საქონელში ცვლიანო, ამბობენ.

ამ პრობლემაზე ისაუბრა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამაც:

„სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ეს პრობლემა არსებობს, რეალურია, ამიტომ ამას ვერ დავმალავთ და ვერ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რომ ეს პრობლემა არ არის“.

გენდერის მკვლევარი იდა ბახტურიძე მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა ქორწინების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა მუშაობდეს. მისი აზრით, პირველი ნაბიჯი სწორედ პრობლემის აღიარებაა:

„სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფოს ამ პროგლემის სიმწვავე არ აქვს გააზრებული. გოლოგდე არც ვიცით, ეს რა მასშტაბის პრობლემაა, იმიტომ რომ ოფიციალური სტატისტიკა ერთია, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ რეალობა გაცილებით მძიმეა“.

სახელმწიფო, ერთი მხრივ, აღიარებს, რომ პრობლემა არსებობს, თუმცა მის სიმწვავეს ვერ ხედავსო, ამბობს იდა ბახტურიძე. მისი თქმით, 25 დეკემბერს დაწყებული კამპანია ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას და ეს საკითხი ისევე წამოიწევს წინ, როგორც ოჯახში ძალადობისა და ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის შემთხვევაში მოხდა.

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, საქართველოში ყოველდღე 4 არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა.

„საგანგაშოა სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 2011 წლიდან 2013 წლის იანვრამდე, 7367-მა გოგონამ მე-7-9 კლასში განათლების მიღება შეწყვიტა, დიდწილად ადრეული ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. საქართველოს კანონმდებლობით 18 წელი არის ქორწინებისთვის დასაშვები ასაკი. სიტყვა „ქორწინება“ შეუფერებელია იმ არასრულწლოვანი გოგონების მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლებიც მშობლებმა ეკონომიკური გაჭირვების თუ ტრადიციების გამო, ფაქტობრივად, სახლიდან გააგდეს, გაათხოვეს, გაასხვისეს ნივთივით“, - აღნიშნეს „ქალთა მოძრაობაში“.

ოფიციალური მონაცემებით, 2011—2014 წლებში საქართველოში მე—9 კლასამდე სწავლა 4599—მა გოგონამ შეწყვიტა.

მათემატიკის ღია გაკვეთილი N1 საბავშვო ბაღში

25 ნოემბერს ქალაქის N1 საბავშვო ბაღს მათემატიკის ღია მეცადინეობაზე ვსტუმრობდით. 4- 5 წლიანთა ჯგუფის საჩვენებელ გაკვეთილს პედაგოგი დალი მაძღარაშვილი თანაშემწე ელენე პოპიაშვილთან ერთად უძღვებოდა. ბავშვები ციფრი 3-ის გაცნობის მოლოდინში სულგანაბულები შესცქეროდნენ აღმზრდელებს. მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ გახანგრძლივებულად მომეჩვენა გაკვეთილი, მე პირადად, დიდი ხანია არ მინახავს ასეთი თანამედროვე სტანდარტებით, ასე თემატურად თანმიმდევრული და თვალსაჩინოებების სიმრავლით გამორჩეული ღია მეცადინეობა, რომელმაც დამავიწყა, რომ სტუმრად ვიმყოფებოდი და კინაღამ ბავშვებთან ერთად ციფრების ამოცნობის პროცესშიც კი ჩავერთე. ბავშვებმა, რომლებსაც უკვე შესწავლილი ჰქონდათ ციფრები -1 და 2, კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს ზღაპრები: “ერთ გოგონაზე” და “ორი ძმის” შესახებ, ლექსები ერთიანსა და ორიანზე, შემდეგ კი ნელ-ნელა პედაგოგმა ზღაპარი “სამი პრინცესა და სამთავიანი დრაკონის” მეშვეობით, მათ ციფრი “3” გააცნო, ზღაპარს მოჰყვა სხვადასხვა თვალსაჩინოებები: საჰაერო ბურთის შემოფრენა, სამსართულიანი სახლისა და მის აივნებზე ფანჯრების განლაგება, დაფაზე გამოსახული დიდაქტიკური თამაშები „გამოიცანი“, (რაოდენობის დაკავშირება შესწავლილ ციფრებთან) და ბოლოს ლექსი სამიანზე:

„ზარმაც მოსწავლეს მოვწონვარ,
ბეჯითი სულაც არ მელის,
მე ციფრი 3 გახლავართ,
ჩიტს ჯგავარ ცაში გაფრენილს“...

ეს ის ბოლო აკორდი იყო ამ გაკვეთილისა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს აღსაზრდელებზე, კვალი, რომელსაც მათ სახეებზე ადვილად შენიშნავდით.

ღია მეცადინეობას ესწრებოდნენ გამოცდილი პედაგოგები ქალაქის სხვადასხვა საბავშვო ბაღებიდან, სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი მოადგილე ირმა ჯანაშვილთან ერთად. სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები სხვადასხვა შემადგენლობით სისტემატურად ამოწმებენ საბავშვო ბაღებში პედაგოგებს ზეიმებსა თუ მეცადინეობებზე დასწრებით, აფასებენ მათი მუშაობის ხარისხს და სთავაზობენ შესაბამის რეკომენდაციებს. ღონისძიების დასასრულს მათ მადლობა გადაუხადეს ბაღის დირექტორს ქეთინო დოლიძეს და ჯგუფის პედაგოგს დალი მაძღარაშვილს საინტერესო და სამაგალითო გაკვეთილის ჩატარებისთვის.

ელზა ხარაშვილი

„მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება დაიწყო“ - მესამე მსოფლიო ომი კარზეა მომდგარი?!

“რუსეთის თვისებაა, დაუდევრად მოექცეს მეზობელი ქვეყნების საზღვრებს. მსგავსი სასაზღვრო დარღვევები მუდმივად ხდება ბალტიისპირეთის და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში. განსხვავება ის არის, რომ თურქეთმა გაფრთხილებას მოქმედება მოაყოლა...”

მთელი მსოფლიოს ყურადღება ახალი დაპირისპირების კერისკენაა მიმართული, თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შესახებ ინფორმაცია, თავად თურქეთმა გაავრცელა, რასაც რუსეთი თავდაპირველად უარყოფდა, თუმცა შემდგომ სირიის ტერიტორიაზე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი აღიარა.

ინტერნეტსივრცეში გავრცელდა რუსული სამხედრო თვითმფრინავის “სუ-24”-ის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპული მფრინავის ვიდეოკადრებიც. ბი - ბი - სი წერს, რომ რუსი მფრინავი კატაპულტირებისას დაიღუპა. ვიდეოკადრებში სამხედრო ფორმაში ჩაცმული აჯანყებულებიც ჩანან. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მფრინავი ტყვედ სწორედ აჯანყებულებმა აიყვანეს, თუმცა ეს ოფიციალურად ჯერ არავის დაუდასტურებია.

თურქეთ-სირიის საზღვარზე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პირველი კომენტარი გააკეთა. მან თურქეთის ეს ქმედება “ზურგში დანის დარტყმად” შეაფასა. “თვითმფრინავი ჩამოაგდეს იმის მიუხედავად, რომ არსებობდა შეთანხმება დაუშვებელი საჰაერო ინციდენტების შესახებ. თვითმფრინავი არ წარმოადგენდა საფრთხეს თურქეთისთვის და ჩამოაგდეს სირიის ტერიტორიაზე”, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. პუტინის თქმით, ამას ორი ქვეყნის ურთიერთობაში სერიოზული შედეგები მოჰყვება. პუტინმა რუსი პილოტის გარდაცვალება არ დაადასტურა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის სრული უფლება ჰქონდა ემოქმედა ისე, როგორც იმოქმედა, რადგან მისი საჰაერო სივრცე, მიუხედავად მანამადე არაერთი ოფიციალური გაფრთხილებისა, მაინც დაარღვიეს. “თურქეთი რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს, რათა დაიცავს თავისი საზღვრები”, - განაცხადა პრემიერმა.

რუსული “სუ-24” სირიის პროვინცია ლატაკიაში, იმ ტერიტორიაზე ჩამოვარდა, რომელსაც აჯანყებულთა დაჯგუფებები აკონტროლებენ.

თურქულმა გამანადგურებლებმა რუსული თვითმფრინავი მას შემდეგ ჩამოაგდეს, რაც ის სირიის მხრიდან თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა და გაფრთხილების მიუხედავად, ფრენა გააგრძელა.

სააგენტო “როიტერთან” მომხდარზე საუბრისას თურქულმა წყარომ განაცხადა, რომ სამხედროები “თურქეთის სუვერენიტეტს იცავდნენ”.

ოფიციალური მოსკოვის მიერ თურქეთიდან რუსეთის ელჩის გაწვევის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის საელჩო ანკარაში ჯერჯერობით არ ადასტურებს.

“ამ ინფორმაციას ვერც დავადასტურებ და ვერც ვუარყოფ, საელჩო ჯერჯერობით კომენტარს ვერ გააკეთებს”, - განაცხადა საელჩოს პრეს-ატაშემ.

ნატო-ს წარმომადგენლის განცხადებით, ალიანსი თვითმფრინავის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით თურქეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ სირია-თურქეთის საზღვარზე რუსული სამხედრო თვითმფრინავის სუ-24-ის ჩამოგდების საკითხზე დღეს ნატო - ს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართება.

როგორც “ფრანს პრესი” იტყობინება, ალიანსის სხდომა თურქეთის მიმართვის საფუძველზე ჩატარდება.

“ინციდენტის შემდეგ, ამ სახიფათო მომენტში, უნდა ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ რაც შეიძლება მშვიდად და ცივი გონებით”, - დაწერა „ტვიტერში“ ევროსაბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა.

“როიტერის” ინფორმაციით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივე წევრების შეკრება მოითხოვა, რათა ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის თაობაზე კონსულტაციები გაიმართოს.

თურქეთის მიერ რუსული ავიაგამანადგურებლის ჩამოგდება ბრიტანეთმა “ძალიან სერიოზულ” მოვლენად შეაფასა. “თურქეთ-სირიის საზღვარზე დილით რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჩვენ შევისწავლით მომხდარ ფაქტს. ეს არის ძალიან სერიოზული მოვლენა, მაგრამ ჯერ, როცა კონკრეტული ფაქტები არ ვიცით, ამაზე კომენტარის გაკეთება, არაგონივრული იქნება”,- ნათქვამია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

სერგეი მარკოვი, პოლიტილოგი, საზოგადოებრივი პალატის წევრი:

“რატომ ისწრაფიან ასე ძალიან რუსული თვითმფრინავები თურქეთის საზღვრისკენ, როცა არსებობს იმის რისკი, რომ რამდენიმე წამით აღმოჩნდნენ თურქეთის ტერიტორიაზე ან ამაში დასდონ ბრალი?! ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი სამხედრო აუცილებლობაა, რომ მაინც და მაინც თურქულ საზღვართან იფრინონ? ნუთუ სამიზნის ასარჩევად სირიის ტერიტორია საკმარისი არ არის? ვფიქრობ, რომ ფრენების დაგეგმისას შეცდომაა დაშვებული. ამის მიუხედავად, ჩვენს სამხედროებს ძალიან მკაცრად ნუ განვსჯით, რადგან რუსული არმიის ადგენა ფაქტობრივად ახლა მიმდინარეობს”.

“არ მესმის იმათი, ვინც ამბობს, რომ “თურქები მართალნი არიანო”. არ არიან მართლები. მათ თვითმფრინავი პიარისთვის ჩამოაგდეს და არა თავდაცვისთვის. ჩვენი ბობმდამშენი თურქეთს საფრთხეს არ უქმნიდა”, - დაწერა სოციალურ ქსელში რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსეი ნავალნიმ.

ბრიტანული გამოცემა ჩუარდიან-ი თურქულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით წერს, რომ თურქეთმა რუსეთი იმის შესახებ გააფრთხილა, რომ თავის საზღვართან სამხედრო ოპერაციის ასე ახლოს მიმდინარეობით უკამყოფილო იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, გასულ პარასკევს, თურქეთის საგარეო უწყებაში რუსეთის ელჩი და სამხედრო ატაშე გამოიძახეს და ოფიციალურად გააფრთხილეს. ანკარა იმაზე

წუხდა, რომ რუსეთის ავიაციის მოქმედებით მშვიდობიანი მოსახლეობა - ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თურქმენები ზარალდებოდა, ასევე ამტკიცებდა, რომ რუსეთი თურქეთის საზღვარს საფრთხის ქვეშ აყენებდა.

რუსეთი გააფრთხილეს, რომ თუ ის კვლავ გააგრძელებდა ამგვარ მოქმედებას, შესაბამის პასუხს მიიღებდა.

“ასოშიეიტედ პრესი” ლონდონის ჯინგ’ს ჩოლლეგე -ის ექსპერტის, ნატაშა კურტის შეფასებას ავრცელებს:

“ვფიქრობ, რომ რუსეთი შეეცდება ამ ინციდენტის ჩაფარცხვას. რუსული ტელევზიების რეპორტაჟებში ძირითადად ასადის მოწინააღმდეგეებს ახსენებენ და საერთოდ არ საუბრობენ თურქეთზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ამ ინციდენტის მიჩქმალავას ცდილობენ”.

რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება უკვე უარყოფითად აისახა მსოფლიოს საფინანსო ბირჟებზე. ინვესტორები პროცესიის ესკალაციის შიშით სარისკო აქციებისგან გათავისუფლებას ცდილობენ.

სტრატეგიისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრის ექსპერტი ვასილი კაშინი იმედოვნებს, რომ თუ ეს არის ერთეული ინციდეტი, ანუ თუ მსგავსი შეტაკება მეტად აღარ მოხდება, რაიმე პირდაპირი სამარი ქმედებების დაწყება გამორიცხულია, თუმცა ალბათ გარკვეული პოლიტიკური დაპირისპირება თურქეთსა და რუსეთს შორის იქნება.

“თუ არ ვცდები, ხვალისთვის დაგეგმილი იყო რუსულ - თურქული სტრატეგიული დიალოგის წარმართვა, რომელშიც მონაწილეობა საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს უნდა მიეღო. ანუ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, მომხდარი ინციდენტი აღქმული იქნება, როგორც ერთეული შემთხვევა თუ მომზადებული პროვოკაცია.

ნათელია, რომ ეს სიტუაცია გააუარესებს ორი ქვეყნის ურთიერთობებს, უარყოფითად აისახება როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თუმცა ნატო -ს წევრ ქვეყანასთან ომის დაწყებას, დარწმუნებული ვარ, არავინ აპირებს”. - აცხადებს კაშინი.

საშინაო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის ჩჰატჰამ ჰოუსე-ის ექსპერტი რუსული არმიის საკითხში კირ ჯაილზი მიიჩნევს, რომ თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება ორი გარემოების გამო იყო მოსალოდნელი:

“პირველ რიგში ეს არის თურქეთის მხარის უფლება მკაცრად დაიცვას საჰაერო სივრცე, ხოლო მეორე მხრივ ეს არის რუსეთის თვისება, დაუდევრად მოექცეს მეზობელი ქვეყნების საზღვრებს. მსგავსი სასაზღვრო დარღვევები მუდმივად ხდება ბალტიისპირეთის და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში. განსხვავება ის არის რომ, თურქეთმა გაფრთხილებას მოქმედება მოაყოლა...”

“ზურგში დანა ჩაგვარტყეს” - ასე გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას. რა იქნება პუტინის პასუხი თურქეთზე და რამდენად დიდია მესამე მსოფლიო ომის დაწყების ალბათობა?!

ამის შესახებ ჟურნალ “არსენალის” მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი და ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში ბადრი ნაჭყებია საუბრობენ:

ირაკლი ალადაშვილი:

- როგორც წესი, შეირაღებული კონფლიქტის დროს მეზობელი სახელმწიფოების საჰაერო სივრცის დარღვევა ხდება. შორს რომ არ წავიდეთ, ამის “გამოცილდება” ჩვენც გვაქვს - როცა ჩეჩნეთში რუსეთს ავიაცია ბომბავდა, ის მუდმივად არღვევდა საჰაერო სივრცეს. ისევე როგორც დღეს, მაშინაც საქართველოს არასრულყოფილი საჰაერო საავიაციო თავდაცვა ჰყავდა, რის გამოც საჰაერო სივრცის დარღვევა ან საერთოდ არ აღინუსხებოდა, ანაც თუ ფიქსირდებოდა, შესაბამის რეაგირებას ვერ ვახერხებდით. ამ მხრივ თურქეთი საკმაოდ მძლავრი სახელმწიფოა - ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები სწორედ მას ჰყავს. შეგახსენებთ, თურქეთი რუსეთის მხრიდან საჰაერო სივრცის დარღვევაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ლაპარაკობდა, როდესაც პუტინმა ავიაცია სირიაში გადაისროლა. მაშინ რუსეთმა თურქეთის საჰაერო სივრცე ორჯერ დაარღვია. თურქეთმა ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, რომ მორიგ ჯერზე რუსულ თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ. მოგვიანებით, თურქეთმა უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო კიდეც, რომელზეც რუსებმა განაცხადეს, ჩვენი არ იყოო.

- ამჯერად თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის განადგურება არ ნიშნავს, რომ პუტინს ნატო დაუპირისპირდა? არადა, თითქოს დასავლეთი და პუტინი სირიის კონფლიქტის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

- ფაქტია, რომ მართლაც ამ შემთხვევით ნატო-სა და რუსეთის საბრძოლო შეტაკება მოხდა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ სირიის კონფლიქტში თურქეთი და რუსეთი მოკავშირეები არ იყვნენ, რადგან რუსეთი მხარს ქურთებს უჭერს. საბჭოთა კავშირის პერიოდშიც ასე იყო - ქურთები სამხედრო წვრთნებს სომხეთის ტერიტორიაზე მალულად გადიოდნენ. თურქეთისთვის კი ნებისმიერი ქურთული სტრუქტურის გაძლიერება საშიში პროცესია, რადგან ქურთებს დიდი ქურთისტანის აღდგენის პრეტენზიები აქვთ. ასე რომ, თურქეთისთვის ქურთები “ისლამურ სახელმწიფოზე” არანაკლები მოწინააღმდეგეა.

- პუტინი აცხადებს, რომ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებით რუსეთს ზურგში დანა ჩაარტყეს. რა იქნება რუსეთის პასუხი და რამდენად მოსალოდნელია “ისლამური სახელმწიფოს” წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოთა შორის დაპირისირებასა და საბოლოოდ, მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს?

- გამორიცხული არაფერია. ფაქტია, რომ ნავთობის გამო მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება დაიწყო. საბოლოოდ, ეს ყველაფერმ ერთ დიდი პოლიტიკურ თამაშს ჰგავს, რომელსაც უდანაშაულო მოქალაქეები ეწირებიან. იმედი მაქვს, პროცესები საბოლოოდ მაინც დასტაბილურდება, რადგან დიდი მასშატბის ომის შეჩერება შეუძლებელი იქნება და ეს ყველა მასში მონაწილე სახელმწიფოს დააზარალებს.

ბადრი ნაჭყებია:

- ბუნებრივია, ეს ინციდენტი პირველ რიგში, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას მოახდენს და დაპისპირება, დიდი ალბათობით, კულმინაციას მიაღწევს, თუმცა პროცესის განმუხტვას ისევ ნატო-ს ხელმძღვანელობა შეეცდება. რეალურად ეს ყველაფერი ენერგორესურსებისთვის ბრძოლაა, რადგან სირიის ტერიტორიაზე ნავთობის დიდი მარაგია. ვფიქრობ, ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ გეოპოლიტიკური გადანაწილება მაინც შეთანხმების საფუძველზე მოხდება და პროცესები მესამე მსოფლიო ომამდე არ მიგვიყვანს.

რა კავშირი აქვს 29 წლის დავით ბორჩაშვილს ტერორიზმთან

პანკისის ხეობაში მცხოვრები 29 წლის დავით ბორჩაშვილი ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, 22 ნოემბერს, თბილისის აეროპორტში დააკავეს. ადვოკატის განცხადებით, ბორჩაშვილი არ უარყოფს, რომ ის სირიაში ნამდვილად იმყოფებოდა, ოღონდ მისივე თქმით, მას კონტაქტი ჰქონდა არა „ისლამურ სახელმწიფოსთან“, არამედ ე.წ. „თავისუფალ არმიასთან“, რომელიც ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის. რა ინფორმაციას იძლევა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეომასალა, რომელიც სირიაშია გადაღებული და სადაც დავით ბორჩაშვილიც ჩანს პანკისის სხვა მაცხოვრებლებთან ერთად.

სტამბოლი - თბილისი - სტამბოლი - თბილისი

საქართველოში დავით ბორჩაშვილის დეპორტაცია თურქეთმა განახორციელა. თურქეთის კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს თურქეთის ტერიტორიაზე უვიზოდ სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდეს. ბორჩაშვილს კანონის ეს მოთხოვნა დარღვეული ჰქონდა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, ის თურქეთის ქალაქ კონიას ერთ—ერთ სამედიცინო ცენტრში 7 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო მოთავსებული და მკურნალობდა.

სტამბოლიდან დეპორტირებული ბორჩაშვილი თბილისში 20 ნოემბერს ჩამოფრინდა. აეროპორტში მას საზღვრის გადმოკვეთის უფლება არ მისცეს და რამდენიმე საათის შემდეგ, ისევ თურქეთში დააბრუნეს. არც შინაგან საქმეთა სამინისტროში და არც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ამის შესახებ განმარტება არ გაუკეთებიათ. საკითხს სახალხო დამცველის აპარატის სწავლობს.

22 ნოემბერს, თურქმა სამართალდამცავებმა დავით ბორჩაშვილი კვლავ საქართველოში დააბრუნეს. ბორჩაშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სისხლის სამართლის კოდექსის 328—ე მუხლით დაკავეს, რომელიც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას გულისხმობს. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ჩვიდმეტ წლამდე. ბორჩაშვილი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, დაკითხვის შემდეგ, ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში მოათავსეს, სადაც მას ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

ექიმის, მანანა გელანტიას განცხადებით, დაახლოებით 7 თვის წინ, დავით ბორჩაშვილს ცეცხლნასროლი ტრავმის შედეგად მიღებული დაზიანების გამო გაკეთებული აქვს ენდოპროთეზირება და გართულების გამო საჭიროებს ოპერაციულ ჩარევას.

დავით ბორჩაშვილის ოჯახი, მშობლები და და ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობენ. დედა სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. მეუღლესთან გაშორებულია.

და, ნატა ბორჩაშვილი ამბობს, რომ მისი ძმა საქართველოდან წელიწადნახევრის წინ წავიდა.

„სამუშაოდ იყო წასული, როგორც სხვები დადიან, ესეც ისე იყო წასული. არ იმყოფებოდა სირიაში ნამდვილად. მე ვიცი, რომ მშენებლობაზე მუშაობდა. იქ დაეცა და იქიდან ჰქონდა ფეხი ნატკენი“, — უთხრა ჟურნალისტებს დავით ბორჩაშვილის დედამ, დალი ბორჩაშვილმა.

დავით ბორჩაშვილის ადვოკატის გელა ნიკოლაიშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადასტურებს, რომ სირიაში ნამდვილად იმყოფებოდა.

„დავით ბორჩაშვილი არ უარყოფს რომ სირიაშია ნამყოფი და კონტაქი ჰქონდა სირიის თავისუფალ არმიასთან, რომელიც მხარდაჭერილია ამერიკის და ევროპის ქვეყნებისგან და ებრძვის პრეზიდენტ ასადის რეჟიმს, ასევე ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოს“, — აღნიშნავს ადვოკატი.

მისივე თქმით, ადვოკატებს ხელი მოაწერინეს, რომ საქმის მასალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ეკრძალებათ: „თუმცა არაფერია გასამჟღავნებელი. ბორჩაშვილის წინააღმდეგ საქმეში ის ვიდეომასალები დევს, რაც ინტერნეტითაც გავრცელდა და საიდანაც არ დასტურდება, რომ ჩემ კლიენტს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ რაიმე კავშირი აქვს“.

ვიდეომასალები

Youtube—ზე, ვინმე Al Shishani—ს მიერ, 21 ნოემბერს არის ატვირთული ორი ვიდეომასალა. პირველ ვიდეოში გადაღებულია რამდენიმე შეიარაღებული პირი, რომლებიც ავტომობილით გადაადგილდებიან. მათ შორის არის დავით ბორჩაშვილიც. ამავე ვიდეოში ჩანს პანკისის ხეობის კიდევ ერთი მკვიდრი ხ. ც—შვილი. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, იგი რამდენიმე თვეა პატიმრობაში იმყოფება და სასჯელს საქართველოში იხდის საზღვრის გადაკვეთის წესების დარღვევის გამო.

საყურადღებოა, რომ მეორე ვიდეომასალაში, რომელსაც არ ვავრცელებთ, რადგან მძიმე კადრებს შეიცავს, დადასტურებული ინფორმაციით, 24 წლის დავით სვიაკაურის დაკრძალვაა გადაღებული. ცერემონიის მონაწილეებს შორის სავარაუდოდ დავით ბორჩაშვილიც ჩანს.

ბორჩაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ადასტურებს გავრცელებული, ორივე ვიდეომასალის ავთენტურობას და ამბობს, რომ გამოძიების მოთხოვნით, ეს ექსპერტიზის დასკვნითაც უკვე დადასტურებულია.

სირიაში დავით სვიაკაურის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია 2015 წლის 23 თებერვალს გავრცელდა. დაუდასტურებელი ცნობით, სვიაკაური ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში იყო.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, არსებობს მინიმუმ კიდევ ორი ვიდეომასალა, რომელიც ჯერ საჯაროდ არ არის გავრცელებული. ერთ-ერთ ვიდეოზე დაჭრილი ბორჩაშვილია გადაღებული.

დავით ბორჩაშვილი ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, 2015 წლის ივნისში დაპატიმრებული, სოფელ ჯოყოლოს ყოფილი იმამის აიუფ ბორჩაშვილის წინააღმდეგ, საქმის მთავარი მოწმის გიორგი ბორჩაშვილის ახლო ნათესავია. გიორგი ბორჩაშვილი მოწმის დაცვის პროგრამით სარგებლობს და მისი ადგილსამყოფელი და საკონტაქტო ინფორმაცია უცნობია.

მონატრება

თენგიზ ზურაშვილი

3 დეკემბერს, ერთი წელი გახდება, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი და სევდა. 59 წელი გაკმარა განგებამ საცხოვრებლად ამ წუთისოფელში. შენი ოჯახის მონა იყავი, თენგიზ, დიახ, მონა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ოჯახისადმი შენეულ ზრუნვას, სიყვარულსა და ერთგულებას, ალბათ, ბევრი ვერ დაიკვეხნის. უაღრესად მაღალი ზნეობის ადამიანი ყველგან კარგი ავტორიტეტით სარგებლობდი: მეგობრებში, სანათესაოში, შენს სამსახურში. ისედაც სულ გვენატრებოდი , განვიცდიდით შორს რომ იყავი ჩვენგან. მუშაობდი და ცხოვრობდი ქალაქ ვორონეჟში. მაგრამ, შენს დაკარგვას ვერასოდეს ვიფიქრებდით.

სრულიად მოულოდნელად შავად დაგვიღამდა 3 დეკემბერი. წაღმა დატრიალდა შენი ოჯახის ჩარხი. მტკივნეულია, რომ შენ აღარ გეღირსა მშობლიური მიწის დაყრა გულზე. ჩვენ კი გვენატრება შენი საფლავი, ვერც დაგინახეთ, ვერც ქოჩორზე მოგეფერეთ დები და ვერც დაგიტირეთ, ჩვენო მონატრებულო ძმაო.

შენი ცოლ-შვილი, რძალი, სიძე, შვილიშვილები ტელეფონით ხშირად გვეხმიანებიან, მაგრამ შენ სულ სხვა იყავი, მითუმეტეს შენი უბედური ტყუპისცალი დისთვის – ლუიზასთვის. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს, ჩვენმა ანთებულმა სანთელმა და საკმელმა გაგინათოს სასუფეველი, ძვირფასო თენგიზ. ვიდრე ჩვენ და შენი დისშვილი ცოცხლები ვართ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია..

შენი დები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები.



მეუღლე ასია, შვილები: ვაჟა, მარინა, რძალი ლალი, შვილიშვილები სანდრო და ანი იუწყებიან

ხოშატი ღორაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვილი 28 ნოემბერს, 4 საათზე, დაკრძალვა კვირას, 29 ნოემრებს, 1 საათზე.

ბეჟანი, ციცინო, ნანა მაჩაბლიშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ხოშატი ღორაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს ასიას, შვილებს: ვაჟას, მარინას, რძალს ლალის, შვილიშვილებს: სანდროს და ანის.

ქ.დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები: ნოდარ გოგილაშვილი, თემურ ჯიბღაშვილი, მზია ლეკაშვილი, დოდო გიგოლაშვილი და სხვები იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ეთერ ხატიაშვილს მეუღლის

სიმონ ხატიაშვილის

გარდაცვალების გამო.

„სიყვარულს ხომ დიდი ძალა აქვს...“

(მესამე გვერდიდან)

სიყვარულის ახალ ბიბლიას, სიყვარულის ღვთაებრივ სახარებას. მე მას ყველაზე მშვენიერ სახელს – ნინოს დავარქმევ.

მე რომ მხატვარი ვიყო, მხოლოდ შენი ფრესკებით მოვხატავდი საქართველოს ციხე-ტაძრებს. მე ახლა მიხვდი, რომ ადამიანის ხსნა სიყვარულშია. შეყვარებული ადამიანი ღმერთია! ამ სიყვარულის განსახიერება ჩემთვის შენ ხარ, ნინო! მე მუდამ მწამდა, რომ სიყვარული პოეზიაა, სიყვარული სიბრძნეა... სოლომონის სიბრძნეა შენდამი ჩემს სიყვარულში და დავითის ფსალმუნების სილამაზე და ჰაეროვნება... შენ ჩემი უზენაესი პოეზია ხარ!

შენზე ფიქრი ფრთას მასხავს, შენზე დარდი მკლავს.. შენ ხარ სიწმინდე, რომლის წინაშე მე ლოცვად ვარ დამხობილი. აქ, პეტერბურგში ვღაღადებ, რომ შენ თბილისში გაგაგონო.. შენ სანთელი ხარ სიყვარულისა, მე ცეცხლი, რომელიც იმ სანთლისათვის გამოკვესა ღმერთმა. შენ ვეფხისტყაოსნიდან შუქად ამოფრქვეული ნესტანი ხარ, მე კი შენი მიჯნური, შენ ხარ პოემა პირველი სიყვარულისა, შენ ხარ ნუშის პირველი ყვავილობა და ჩემი ცხოვრების ვარდის ფურცლობაც. მჯერა, რომ

დესაც ნევაზე გატყდება ყინული და ზამთრის სასახლესთან გაზაფხული ალაქანდება, მე ისევ გიხილავ შენ... მე მოვეცები გაზაფხულის პირველ შხაპუნა წვიმას საქართველოში. მიწიდან პირველ იად ამოვალ.. ყოჩივარდების კონას მოგიტან, გეამბორები და მოვწყვეტ პირველი სასიყვარულო პაემანის უბინო ამბორს. პირველ პაემანზე, მერცხლებთან ერთად დამელოდე საქართველოში... მე და გაზაფხული ერთად მოვალთ.. მახათას მთაზე გაზაფხულის პირველი მეხი რომ იქუხებს, ის ჩემი მოსვლის ნიშანი იქნება, პირველი სიყვარულის ბარათით პირველ პაემანს გინიშნავ, ჩემო ნინო.

გკოცნი.“

და მართლაც, ისინი ერთად უკრავდნენ თეთრ როიალზე მშვენიერ ნაწარმოებებს, რომელსაც შეყვარებული პოეტი თხზავდა, ერთად კითხულობდნენ ფრანგი და რუსი პოეტების ლექსებს, კახეთის სანახებში სეირნობდნენ... მერე დაიწერა ულამაზესი, „ქართული ღამე“ „ იქ სადაც რბის ალაზანი, მსუმბუქ ნიავს მოაქვს შვებაო!“

ქართველობა სიხარულით შეხვდა ნინოს და ალექსანდრეს დაქორწინებას. ეს ამბავი რუსეთის სამეფო კარსაც საამოდ დაურჩა. მალე გრიბოედოვი რუსეთის სრულუფლებიან ელჩად დანიშნეს ირანში. ახალჯვარდაწერილნი სპარსეთისკენ გაეშურნენ.

ზავის პირობებით უკმაყოფილო სპარსებმა თავრიზში ერთიანად გაანადგურეს რუსეთის დიპლომატიური კორპუსი, გრიბოედოვიც მათ შორის იყო.

ალ. ჭავავაძემ გამოაპარა სიძის ნეშტი თბილისში და მთაწმინდის მინას მიაბარეს. ახალგაზრდა ქვრივმა სამარის ლოდს წააწერა:“ გონება და საქმენი შენი უკვდავია რუსეთისათვის, მაგრამ უშენოდ ვით გაძლოს სიყვარულმან ჩემმან“! ნინო ამ დროს ფეხმძიმედ იყო და ქმრის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა, დაეწყო ნაადრევი მშობიარობა, გაჩნდა ჩვილი-პატარა ალექსანდრე, რომელიც მალევე გარდაიცვალა.

ნინო ჭავჭავაძემ 49 წელი იცოცხლა, მეტად არ გათხოვილა, თუმცა ბევრი ღირსეული ადამიანი ითხოვდა მის ხელს, მისი გული ეხმაურებოდა სხვის უბედურებას, თავისი პირადი შემოსავლებიდან უზარმაზარ თანხას ხარჯავდა ქველმოქმედებაზე.

ჭავჭავაძეების სახლი ტფილისშიც და წინანდალშიც ყოველთვის ღია იყო სტუმრებისათვის, ხოლო მომღიმარ, ულამაზეს ნინო ჭავჭავაძეს არასოდეს გაუხდია ქვრივის შავი სამოსი. მას „ტფილისის შავი ვარდი“ შეარქვეს.

1857 წელს თბილისში ქოლერამ იფეთქა. ნინომ ქალაქიდან გასვლაზე უარი თქვა, ნათესავებზე ზრუნვისას იგი თავადაც დაავადდა და გარდაიცვალა. ასე დასრულდა მშვენიერი სიყვარულის ისტორია, რომელიც დღესაც ლეგენდად დადის.

დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სასიყვარულო ისტორია დამსწრეთ გააცნო მუზეუმის ფონდების მცველმა თამარ ლობჯანიძემ:

ჭავჭავაძეების გვარის ისტორიას აგრძელებს მათი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ ილია ჭავჭავაძე. მართალია, მათ შორის ნათესაური კავშირი არ იყო და ისინი სხვადასხვა შტოს ჭავჭავაძეები იყვნენ, მაგრამ ილიას სიყვარულის ისტორია, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილებისა, დაკავშირებულია ლამაზ, წმინდა სიყვარულთან. იგი გამორჩეულია ილიას სასიყვარულო წერილებით.

ილიას პირველი გატაცება სოლომონ ჭავჭავაძის მშვენიერი ასული ელისაბედი ყოფილა. სნორედ მას მიუძღვნა ილიამ შესანიშნავი ლექსი „გახსოვს, ტურფავ“, მაგრამ მოგვიანებით მას ეწვია ნამდვილი სიყვარული ოლღა გურამიშვილისა.

ოლღა გურამიშვილი მდიდარი მემამულის შვილი იყო. ოჯახს არ მოსწონდა ილიას გადაწყვეტილება ოლღასთან შეუღლების შესახებ. ოლღას ოჯახის განწყობის გამო შეყვარებულები ხშირად ვერ ახერხებდნენ შეხვედრას. მაჭანკლებს ჩუმად მიჰქონდათ და მოჰქონდათ ოლღასა და ილიას სასიყვარულო წერილები. ილია უამრავ თბილ და გრძნობით სავსე ბარათს ატანდა გულისწორთან, რომლებსაც ამაღელვებლად აწერდა: „შენი მარად ერთგული ილია“, „უკუნითი უკუნისამდე ილია“, „შენი სიკვდილამდე ილია“. ხანდახან შეყვარებულები ახერხებდნენ შეხვედრას ეკლესიაში წირვისას, ხანაც რომელიმე ახლობლის ოჯახში სტუმრობისას. მათი ქორწინება რომ შემდგარიყო, ძალიან ბევრი ქალბატონი ჩაერთო ცნობილი და გავლენიანი ოჯახებიდან. ილიას და ოლღას „ასმათობა“ ნინო ორბელიანმა გაუწია. 1863 წელს ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა ჯვარი დაიწერეს. როგორც ყოველთვის, სიყვარულმა ამჯერადაც გაიმარჯვა. მათ ერთგულ სიყვარულსა და ურთიერთობაზე მრავალი მოგონება არსებობს.

ქართველი რომანტიკოსების დედოფლისწყაროსთან კავშირზე ისაუბრა მუზეუმის დირექტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა: ქართველი რომანტიკოსების ბედი მჭიდროდ უკავშირდება დედოფლისწყაროს წარსულს.

1822 წლის 18 თებერვალს მთავარმართებელმა ერმილოვმა ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიჟეგოროდის პოლკის მეთაურად დანიშნა.

- ჭავჭავაძეების ოჯახი ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. მის სახლში – თბილისსა თუ წინანდალში, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გარდა, თავს იყრიდნენ საქართველოში მყოფი რუსი თუ ევროპელი მოღვაწენიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ოთხი შვილი ჰყავდა: ეკატერინე, ნინო, დავითი და სიფიო. მისი ასულები განთქმულნი იყვნენ განათლებით, სილამაზითა და ზნეობრივი სისპეტაკით. მათ მშვენივრად იცოდნენ ქართული, რუსული, ფრანგული და ინგლისური ენები.

ნიჟეგოროდის პოლკში სულ შვიდი ჭავჭავაძე მსახურობდა, მათ შორის იყო გრიგოლ ჭავჭავაძე ყვარლიდან, ილია ჭავჭავაძის მამა, მაგრამ მან მალე სამსახურს თავი დაანება და თავის მამულში ცხოვრობდა. ამ პოლკში მსახურობდა მეორე რომანტიკოსი, ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, (1834-1837) იგი აქ დაუახლოვდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

ღონისძიებას აცოცხლებდა და ხიბლს მატებდა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგების :ირინა ალუღიშვილის და ნანა ყაჭაშვილის მიერ მოსწავლეებთან ერთად შესრულებული ქართველ კომპოზიტორთა სიყვარულის საგალობლები. და ისმოდა თუ „ რა ტკბილი და რა მწარეა, ზღაპარი სიყვარულისა“, რომ „ძნელია სატრფოს პოვნა, დაკარგვა კი იოლია“, ან „პირველი სიყვარული მაჭარია, მაჭარია“ და რომ „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს“... მათი სიმღერა და განწყობა გადამდები იყო და სტუმრებიც და მასპინძლებიც ბანს აძლევდნენ მომღერლებს. რომანტიკულ განწყობას ქმნიდა ყვავილებითა და ტკბილეულით ლამაზად და ორიგინალურად გაფორმებული მაგიდები, რომელსაც სტუმრები უსხდნენ. ამ განწყობას ამძაფრებდა ყვავილებში ჩაფლული სამოვრით გრამაფონით, გიტარითა თუ მანდოლინით დამშვენებული „კომოდი“, რომელსაც იმ ეპოქაში გადავყავდით, რომელზეც ასე ფართოდ გვიყვებოდნენ მასპინძლები:

ღონისძიებას კულტურის დარგის მუშაკებთან, პედაგოგებთან, სოფლის საკრებულოს თანამშრომლებთან და მოწვეულ სტუნრებთან ერთად ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტები და მამაოები და დედაოები ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიიდან.

ღონისძიება შეაჯამა და ორგანიზატორებს გაწეული შრომისათვის მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა: -„ რაღაც თაობებმა სიყვარული გამოტოვეს ერთი პერიოდი. ეს ბედნიერი განცდა თვითგადარჩენის ინსტიქტმა შეცვალა მაშინ. დღეს კი სხვა დროა, ჩვენ გვჭირდება წრფელ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახები, გამრავლება, უფალი მარტო ალალ სიყვარულს გვითვლის, ამიტომ ნუ დაგვავიწყდება, რომ „ღმერთი თვით სიყვარულია“. გვიყვარდეს უფალი, გვიყვარდეს ერთმანეთი და ჩვენ გადავრჩებით“ -თქვა მან დასასრულს.

მასპინძლები ტკბილეულით და ხილით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. დიდხანს ისმოდა საუბრები სიყვარულზე, ოჯახის მთლიანობაზე, სამშობლოსა და ერის სიყვარულზე, ხელოვნების და სიტყვის როლზე საზოგადოების ფორმირების საქმეში.

ეს ერთი ლამაზი და დასამახსოვრებელი დღე იყო დამსწრეთათვის.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ

მზია კობაიძეს!

გილოცავთ მესამე შვილიშვილს-მარიამს დაბადებას. პატარა ქალბატონს ჯანმრთელობას და უზრუნველ მომავალს ვუსურვებთ, მის მშობლებსა და პაპა-ბებიებს კი გაეხაროთ მისი წარმატებებით.

სიყვარულით,
გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები

ზაურ ოკიაშვილს!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს-75 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ სიბერეს შენი ოჯახის წევრებთან ერთად!

მეუღლე ვენერა, **შვილები**: დათო, ლია; **შვილიშვილები**: ცაცო და თაკო ჩერქეზიშვილები.

იყიდება!

იყიდება კერძო კაპიტალური აგურის სახლი ბელეტაჟზე ორი აივნით და მაღალჭერიანი სარდაფებით. საერთო ფართი არის 1300 კვ.მ და სახლის ფართი 140 კვ.მ. მისამართი: 9 ძმის ქუჩა.

☎ 577 22 32 19.

ფასი 20 000$.
იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

დედოფლისწყაროს გამგეობამ 8 პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ 8 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა. დაინტერესებულ პირებს რეგისტრაციის გავლა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდზე www.hr.gov.ge 29 ნოემბრამდე შეუძლიათ.

ვაკანტურია შემდეგი პოზიციები: საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში; ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი; საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში; ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქმშენინსპექციის, ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში; ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი არხილოსკალოს ქ. დედოფლისწყაროს, და ხორნაბუჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში; ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში.

ვაკანტურ ადგილებზე ხელფასი 330—დან 980 ლარამდე მერყეობს.

კონკურსი სამ ეტაპს, საბუთების გადარჩევას, ტესტირებას და გასაუბრებას მოიცავს.

საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ტესტები 60 კითხვით არის განსაზღვრული, რომელიც მოიცავს კონსტიტუციას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, საჯარო სამსახურის შესახებ კანონს, ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და ზოგად უნარ ჩვევებს. კონკურსანტებმა მესამე ეტაპზე გადასასვლელად 51%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.11	სამშაბათი 01.12	ოთხშაბათი 02.12	ხუთშაბათი 03.12	პარასკევი 04.12	შაბათი 05.12	კვირა 06.12
დღე	7°	6°	4°	0°	2°	2°	3°
ღამე	4°	5°	3°	-1°	-2°	-1°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.